Download book as pdf : 8650
by lib.ge - http://www.lib.ge

ბაკურაძე თეონა

რა არის ბარამბო?

რა არის ბარამბო?თავის გახილვისას მოყოლილი ამბავი-მოდი, მოსწი თავი!.. ამხელა ბიჭი ხარ, რას იტყვიან შენზე? ტილიანს ჯერ არ გეძახიან? მოდი მეთქი, ნუ გარბიხარ! უხ, შენი! _ მაშინ მითხარი, რა არის ბარამბო.. რა არის ბარამბო? _ წყნარად იჯექი, თავი კალთაში ჩამიდე და მისმინე.. ერთხელ, როცა ტელევიზორს უყურებდი და ნახე რეკლამა: “რა არის ბარამბო?” და თანაც ორმოცდაათჯერ ნახე, შენს გარდა ამ კითხვამ ის ტილებიც დააფიქრა, შენს თავში რომ ბინადრობენ. მათ საკმაოდ განვითარებული ცივილიზაცია აქვთ და ამას იმით მიაღწიეს, რომ ყოველთვის ყურადღებით ისმენენ და აკვირდებიან იმ ყველაფერს, რაც შენს გარშემო ხდება. მოკლედ, მზვერავმა ტილებმა (მზვერავი ტილები თექვსმეტნი არიან და შენი გოგრის სხვადასხვა მხარეს აქვთ საგუშაგო პოსტები) რომლებსაც ევალებათ გამუდმებით უთვალთვალონ გარესამყაროს, ეს კითხვა უმალვე აცნობეს სატილეთის განათლებისა და განვითარების კლუბის მკვლევართა განყოფილებას. “რა არის ბარამბო?” ამ კითხვამ მალე მთელი სატილეთი ააფორიაქა. საძაგელო, მოსწი თავი! ასე იმიტომ ფხუკუნებ, რომ დიდი წარმოდგენის არ ბრძანდები ტილის ინტელექტზე, არა? ეგ იქნებ იმიტომ, რომ თავში ქარი გიქრის?! შენგან განსხვავებით, მათ მყისვე დაიწყეს უცნობი ფენომენის ახსნისთვის წვალება. -რა არის ბარამბო? რა არის ბარამბო? მთელი დღე ამის მეტი არა ისმოდა რა სატილეთში. მკვლევართა ჯგუფმა სასწრაფოდ მოიწვია ბრძენთა საბჭო, რადგან მიხვდნენ, რომ ამ საქმეს ბრძენთა გარდა ვერავინ უშველიდა. ბრძენი ტილები ის უხუცესი სწავლულები არიან, ვინც შენს თავში ყველაზე ადრე დასახლდა და აქამდე ახერხებენ ჩემგან თავის დაღწევას. კაცმა რომ თქვას, მეც ვცდილობ, მათ არაფერი დავუშავო, უფრო მეტად სულელ და უვიც ტილებს ვერჩი, რომლებიც მთელს დღეს თმის ერთი ღერის ძირში კოტრიალსა და სისხლით პირის ჩაგემრიელებაში ატარებენ. ასეთებისაგან მაინც არაფერია ხეირი! ბრძენი ტილები კი, როგორც მათი წოდებიდანაც ჩანს, მართლაც ჭკვიანები არიან და ცდილობენ, ძალიან არ გაიტიკნონ, რომ ადვილად გამექცნენ. მოკლედ, შეიკრიბა ბრძენთა საბჭო. საუბედუროდ, მათაც არაფერი სმენოდათ ბარამბოს შესახებ. რა არის ბარამბო? რა არის ბარამბო? იმეორებდნენ ისინი ჩაფიქრებული სახით. – უეჭველია, დაიწყო ყველაზე უხუცესმა ბრძენმა ტილმა, - რომ ეს ბარამბო ადამიანი არაა, რადგან ადამიანთა, და ამ შემთხვევაში ქართველთა გრამატიკაში კითხვა “რა” ადამიანს არ დაესმის. -მააგრამ, - შეეპასუხა მეორე ბრძენი _ ეს კითხვა შეიძლება დასაბნევად არის დასმული! -ღმერთო, რა რთულია! თან ადამიანებს იმდენი უცნაური რამ აქვთ კიდევ! ფირმებიო, სიგურნიო, კუბიკ-კრუბიკიოო..და ვინ მოსთვლის!-დაამატა მწუხარე სახით მესამე ბრძენმა. ბრძენთა საბჭოს “რა არის ბარამბო”-მდე “კუბიკ-კრუბიკის” არსი ჰქონდათ გამოსაცნობი. ეს თავსატეხი მათ შენმა პატარა ძმამ გაუჩინა, როცა პირველად გაიგო ამ ჭრელი სათამაშოს სახელი და მთელი კვირა სიამაყით გაიძახოდა, ჩემი კუბიკ-კრუბიკი, ჩემი კრუბიკ-კრუბიკიო. ბრძენმა ტილებმა ორი დღე შეუსვენებლად იმსჯელეს შენს თავში. უამრავი ვერსია წამოაყენეს, მაგრამ რაც უფრო მეტს მსჯელობდნენ, მით უფრო რწმუნდებოდნენ, რომ უძლურნი იყვნენ, ამოეხსნათ ეს საშინელი საიდუმლო. ბოლოს ისე შეწუხდნენ, თავს რომ ვერ ართმევდნენ ამ ამოცანას, რომ რამდენიმე მათგანმა პენსიაზე გასვლაზეც კი დაიწყო ფიქრი. როგორც ჩანს, ჭკუა აღარ გვიჭრისო. რამდენიმემ კი ახალი თაობის მზვერავებს დასდო ბრალი, უგულისყუროდ არიან, უამრავ რამეს ვერ ამჩნევენ და ჩვენამდეც იმის ნახევარიც კი არ მოაქვთ, რაც ნახესო და პატივისცემით იხსენებდნენ ძველ მზვერავებს, რომლებიც დუსტის დიდ ლაშქრობაში დაიღუპნენ, რადგან ასეთ სახიფათო დროსაც კი არ ისურვეს თავიანთი საგუშაგოების მიტოვება და ძაღლში გახიზვნა. ისინი თურმე ისეთი მოწესრიგებულები თან ყურადღებიანები ყოფილან, რომ თითოეულ ახალ მოვლენასა თუ საგანს, რასაც შეამჩნევდნენ, ისეთი დაწვრილებითა და ისე

Download book as pdf : 8650
by lib.ge - http://www.lib.ge

გულდასმით აღწერდნენ, რომ სატილეთის განვითარება ელვის უსწრაფესი ტემპებით მიიწევდა წინ. ახლა კი, ბოლო ხანებში ერთ ადგილას გაიყინნენ და აი, მათი ჩამორჩენის უტყუარი საბუთიც: ვერ ამოუხსნიათ, თუ რა არის ბარამბო! ყველაფერზე ხელის ჩაქნევამდე და დამარცხების აღიარებამდე უხუცესმა ბრძენმა ტილებმა უკანასკნელ ხერხს მიმართეს – ჯანღონიან მსახურ ტილებს სთხოვეს სატილეთის უძველესი და უდიდესი ენციკლოპედია მოეტანათ. სატილეთის ენციკლოპედია ფრიად ღირსშესანიშნავი რამ გახლდათ. ვერცერთი ტილი მის სახელს გულის აუჩქარებლად და აუღელვებლად ვერ იტყოდა. ეს იყო უძველესი, უმდიდრესი, ერთადერთი წიგნი, რაც კი ტილებს გააჩნდათ. ენციკლოპედია მათი შედგენილი იყო – მზვერავი ტილები რაც კი რამ ყურადსაღებს აღმოაჩენდნენ, ამ წიგნში იწერებოდა ყველაზე ლამაზი კალიგრაფიის ტილის ხელით. კოხტად დალაგებული ცოდნით სავსე ეს წიგნი ცოტა არ იყოს და მძიმე იყო. ოთხი მსუქან ტილზე უფრო მძიმე და კიდევ ცოტაც. ანუ ოთხ მსუქან ტილს პლიუს ორი მათგანის ქუდი – ეს იყო სატილეთის ენციკლოპედიის წონა. მაინც საიდან გაიგეს ტილებმა რამდენს იწონიდა თავიანთი ერთადერთი და საფიცარი წიგნი? ალბათ იკითხავ. არა, მათ ნამდვილად არ გააჩნდათ სასწორი და სხვა მსგავსი მძიმე ნივთები. ენციკლოპედია ერთადერთი მძიმე ნივთი იყო მთელს სატილეთში. წიგნის წონა ასე ზუსტად მათ ჩვენს სამზარეულოს სასწორზე შეიტყვეს. ხანდახან, როცა გვძინავს, ტილები მეტად სახიფათო და რთულ, მაგრამ მათი განვითარებისთვის მნიშვნელოვან ექსპედიციებს აწყობენ ხოლმე. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ექსპედიციისას აწონეს თავიანთი ძვირფასი ნივთი, სატილეთის ენციკლოპედია და რამდენადაც შეეძლოთ, ჩქარა დაბრუნდნენ შენს თავში. მძიმე ნივთებს ტილები ძალიან ერიდებიან. საქმე იმაშია, რომ თუკი თავის ერთ წერტილში მეტისმეტ დაწოლას იგრძნობ, შეწუხდები და ეგრევე მოსაქავებლად წაიღებ ხელს, რაც ტილებს, რა თქმა უნდა, საშინლად არ სურთ. ისინი ერთი-ორი უმაქნისი ტილის სიკვდილს კიდევ გადაიტანენ, მაგრამ არამც და არამც ენციკლოპედიის განადგურებას. ამიტომაც არის, რომ სატილეთის თავდაცვის კლუბმა სპეციალური ოცტილიანი ჯგუფი შექმნა, რომლებიც ენციკლოპედიას გამუდმებით აქეთ-იქით დაატარებდნენ მორიგეობით და ეს სულ იმისთვის, რომ შენ არ შეგემჩნია და ფხანა არ აგეტეხა. ბარამბოს მოძებნას სწორედ ამ ენციკლოპედიაში აპირებდნენ ბრძენი ტილები. იმედოვნებდნენ, რამე მსგავსი სიტყვა მაინც გვექნება შეტანილიო. რა არის ბარამბო?“ოჰ, ნეტავი მალე გავიგებდეთ, თუ რა არის ბარამბო” გულში ნატრობდა ყველაზე ახალგაზრდა უხუცესი ბრძენი. მას ერთი სული ჰქონდა, სახლში დაბრუნებულიყო და დაესვენა, ძალიან დაღალა ამ თავის მტვრევამ.

ხუთივე ბრძენი

ენციკლოპედიას დაეხვია. ეს იყო მათი ბოლო იმედი. ასო ბ-ზე გულისკანკალით გადაშალეს და თვალებგაფართოებულებმა დაიწყეს კითხვა, არცერთი სიტყვის გამოტოვება არ შეიძლებოდა, რადგან ბარამბო თუ არა, შეიძლება ბაკრამბო, ან ბირიმბო მაინც ჰქონოდათ ჩაწერილი და იმის მიხედვით რაღაცას მიმხვდარიყვნენ. ყველაზე ახალგაზრდა უხუცესი ბრძენი წიგნსდასეულ ტილებს გარს უვლიდა და ლოცულობდა, ღმერთო, შენ გვიშველე და გვაპოვნინე ბარამბოო. ენციკლოპედია საკმაოდ ბევრ სიტყვებს მოიცავდა. იმდენად ბევრს, რომ ასო ბ-ზე დაწყებული სიტყვების ბოლომდე წაკითხვას ბრძენმა ტილებმა მეტისმეტი დრო მოანდომეს. მე კი რა გითხარი წეღან? ამ მძიმე ნივთის ერთ ადგილას გაჩერება დიდხანს არ შეიძლებოდა. საბრალო ბრძენი ტილები ისე გაერთნენ ბარამბოს ძებნაში, რომ სულ გადაავიწყდათ, რა საფრთხეც ელოდათ. ის ის იყო, პატარა ტილუკა მოვარდა მათ გასაფრთხილებლად, სასწრაფოდ გადაიტანეთ სხვა ადგილას წიგნიო (ეს პატარა, ფეხმარდი ტილი თავდაცვის კლუბიდან გამოგზავნეს, თვითონ უკან მოსდევდნენ) რომ შენ ჩემთან მოვარდი წუწუნით: “დე, ძალიან მეფხანება თავი, გავგიჟდები, რამე მიშველეო” და მეც თმა გადაგიწიე. იმ ადგილას, სადაც ძალიან გეფხანებოდა და გეწვოდა, რაღაც ფუთფუთი შევნიშნე, პინცეტის პირი მოვკიდე და რაღაც ძეწკვივით გამოყვა. კარგად რომ დავაკვირდით, საოცარი რამ შეგვრჩა ხელთ: პაწაწინა წიგნი, მასზე ჩაფრენილი ხუთი გრძელწვერა ტილი, ერთ-ერთის კაბის კალთაზე ჩამოკონწიალებული პატარა ტილი და მის ფეხებზე მოქანავე ფორმიანი ხუთიოდე ტილისგან შემდგარი ჯაჭვი(რომლებიც სულ იგრიხებოდნენ და ერთ-ერთის, ალბათ მეთაურის

Download book as pdf : 8650
by lib.ge - http://www.lib.ge

ბრძანებაზე, სხვადასხვა მხარეს გადახტნენ) ამ საოცრებას სანამ მე და შენ თვალებდაჭყეტილები ვუცქერდით, ოთახში შენი პატარა ძამიკო შემოვარდა, ხის ცხენზე ამხედრებული და რომ დაინახა, რა მეჭირა ხელში, დაიჭყიტლა: “ბარამბოო! ბარაამბოოო!” ჰო, იმ ხუთ გრძელწვერა ტილს, პატარა ტილს, ფორმიანებს და წიგნს აღარაფერი ეშველათ, მაგრამ სატილეთის ახალ ენციკლოპედიაში პირველი სიტყვა, რაც შეიტანეს, იყო ბარამბო.

ბარამბო – ადამიანთა ტილებზე ნადირობის ყველაზე იღბლიანი შემთხვევა (მსგავსია ჯეკ-პოტისა, ორი კურდღლის ერთად დაჭერისა, ერთი გასროლით ორის მოკვლისა) როდესაც ადამიანი ახერხებს სატილეთის მთელი საგანძურის ერთი ხელის მოსმით განადგურებას – თავდაცვის, ბრძენთა საბჭოსი და უმდიდრესი ენციკლოპედიის. ასეთი ფაქტი მოხდა ამა და ამ წელს, ამა და ამ რიცხვში. სატილეთის ისტორიაში ეს დღე სამუდამოდ გლოვის დღედ გამოცხადდა. - აღარ გყოლია ტილები, დედი, ადე, გაკვეთილებს მიხედე...